2015 წლის 6 თვის ანგარიში

2015 წელს, 6 თვის განმავლობაში ჩავატარეთ ექვსი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სამინისტროების, ცენტრალური ხელისუფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ქ. თბილისის მერიის, ასევე, ქ.თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული სსიპ - ების, ააიპ-ების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მოსამსახურეთათვის. სულ გადავამზადეთ 233 მსმენელი. აქედან 180 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო 53 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის გაიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან ერთობლივად, მოსამსახურეთა გადამზადების საჭიროებების წინასწარი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის არსებობის განმავლობაში, მაისის თვეში, პირველად გაიმართა ტრენინგები ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის (მიმწოდებლებისათვის).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრისა და მსოფლიო ბანკის (World Bank) მიერ ორგანიზებული ტრენინგი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, ბიზნეს-ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის შედეგიანად დასრულდა და ჯამში გადამზადდა ბიზნეს-ორგანიზაციების 38 წარმომადგენელი.

ასევე, მაისის თვეში, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ხელშეწყობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ერთობლივი სემინარი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებზე, სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციების შესყიდვების კუთხით მომუშავე მოსამსახურეთათვის.

სემინარზე წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან თითო და ორ-ორი მსმენელი, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ, მიეღოთ მათთვის საინტერესო ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის კვალიფიციური ტრენერებისგან.

სულ გადამზადდა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციების 13 შესყიდვების სპეციალისტი.

2015 წელს 6 თვის განმავლობაში, ჯამში გადამზადდა 284 მსმენელი. მათ შორის, 246 საჯარო მოსამსახურე და ბიზნეს-ორგანიზაციების 38 წარმომადგენელი.


2015 წლის 6 თვის ანგარიში
246
87%
13%
38
ბიზნეს-ორგანოზაციის წარმომადგენელი
საჯარო მოსამსახურე